<u>მიწოდების ვადები და პირობები</u>

ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით შეძენილი პროდუქციის მომხმარებლისთვის მიწოდება ხორციელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

სტანდარტული მიწოდება მოიცავს შეძენილი პროდუქციის მიწოდებას შეკვეთის განთავსებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნის შემთხვევაში, მიწოდების ვადა შესაძლოა გაიზარდოს, რის შესახებაც ინფორმაცია წინასწარ განთავსდება ვებ-გვერდზე.

სწრაფი მიწოდებით სარგებლობა შესაძლებელია სამუშაო დღეებში, მხოლოდ დღის 12 საათამდე განთავსებული შეკვეთის შემთხვევაში. პროდუქციის სწრაფი მიწოდება განხორციელდება მხოლოდ თბილისის ტერიტორიაზე, იმავე დღეს.

საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დღეს შეაჩეროს სწრაფი მიწოდებით სარგებლობის შესაძლებლობა. სწრაფი მიწოდებით სარგებლობის შესაძლებლობის შეჩერება არ შეეხება უკვე მიღებულ შეკვეთებს.

<u>მიწოდების ტარიფები:</u>

თბილისი - 7 ლარი
რეგიონები - 20 ლარი
სწრაფი მიწოდება (მხოლოდ თბილისში) - 20 ლარი

მიწოდების განსახორციელებლად გზავნილის დაზღვევა სავალდებულოა, რისთვისაც პროდუქციის ღირებულებას ემატება დაზღვევის საფასური პროდუქციის ღირებულების 0.4%-ის ოდენობით.